საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

08/ 12 2016 წ. თბილისი № 693

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოშიმშილე პირთა მოთავსების პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოშიმშილე პირთა მოთავსების პირობების შესახებ ინსტრუქცია თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი გიორგი მღებრიშვილი

დანართი

ინსტრუქცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოშიმშილე პირთა მოთავსების პირობების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) დროებითი მოთავსების იზოლატორებში (შემდგომში – იზოლატორი) მოშიმშილე პირთა მოთავსების პირობების შესახებ ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) აწესრიგებს იზოლატორში მოთავსებული პირის მიერ შიმშილობის დაწყების შემთხვევაში მისი მოთავსებისა და მოვლის პირობებს.
2. ამ ინსტრუქციის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ იზოლატორებზე, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. იმ იზოლატორის მოსამსახურე, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, ვალდებულია, უზრუნველყოს მოშიმშილისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სასწრაფო სამედიცნო ბრიგადის საშუალებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ ბრძანების მიზნებისთვის წინამდებარე ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) მოთავსებული პირი – იზოლატორში მოთავსებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებული ან პატიმრობაშეფარდებული პირი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოდან გაძევების მიზნით დაკავებული უცხოელი;
ბ) შიმშილობა – მდგომარეობა, როდესაც იზოლატორში მოთავსებული პირი გაცნობიერებულ უარს აცხადებს საკვების ნაწილობრივ ან სრულად მიღებაზე;
გ) შიმშილობის დაწყების დრო – დრო, როდესაც პირი ზეპირად ან წერილობით განაცხადებს შიმშილობის დაწყების თაობაზე;
დ) შიმშილობის შეწყვეტის დრო – დრო, როდესაც მოშიმშილე პირი ზეპირად ან წერილობით განაცხადებს შიმშილობის შეწყვეტის თაობაზე;
ე) ინფორმირებული თანხმობა – მოშიმშილე პირის თანხმობა სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის ხელოვნურ კვებაზე, იმის შემდეგ, რაც მას მიეწოდა ინფორმაცია: სამედიცინო მომსახურების არსის, საჭიროებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ამ მომსახურებასთან დაკავშირებული, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის რისკის თაობაზე, განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტებისა და ამ უკანასკნელთა თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის, ასევე სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
ვ) ოჯახის წევრი – მოშიმშილე პირის მშობელი, შვილი, მეუღლე, და-ძმა, პაპა და ბებია, შვილიშვილი.

მუხლი 3. შიმშილობის დაწყებისას გასატარებელი ღონისძიებები

1. შიმშილობის დაწყების შემთხვევაში, მოშიმშილის წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, იზოლატორის მოსამსახურე (შემდგომში – მოსამსახურე) ადგენს შიმშილობის გამოცხადების შესახებ ოქმს (დანართი №1) ექიმისა და მოშიმშილის თანდასწრებით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება იზოლატორის უფროსს. ოქმში მიეთითება შიმშილობის დაწყების თარიღი, დრო და მოშიმშილის მოთხოვნები. ოქმის შედგენამდე პირს განემარტება მისთვის ინსტრუქციით დადგენილი მოშიმშილის მიმართ მოპყრობის წესი და უფლება-მოვალეობები. ოქმის შედგენის შემდგომ იზოლატორის უფროსი ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) დირექტორს და ტერიტორიულობის პრინციპის დაცვით საქართველოს პროკურატურის შესაბამის საოლქო პროკურატურასა (შემდგომში – პროკურატურა) და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს (შემდგომში – სახალხო დამცველი) და შიმშილობის მიზეზის გათვალისწინებით, აგრეთვე შესაბამის ორგანოს ან/და ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უცხოელი მოშიმშილის შემთხვევაში დეპარტამენტი ვალდებულია, შიმშილობის დაწყების შესახებ აცნობოს ასევე დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას.
2. თუ იზოლატორში მოთავსებულ პირს არ აქვს გამოცხადებული შიმშილობა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო 24 საათის განმავლობაში არ მიიღო საკვები ულუფა, მოსამსახურე ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს იზოლატორის ექიმს (შემდგომში – ექიმი). ექიმი ვალდებულია, უზრუნველყოს ასეთი მოთავსებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი შემოწმება.
3. დაუშვებელია მოშიმშილის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებების შეზღუდვა.

მუხლი 4. მოსამსახურის უფლება-მოვალეობანი
1. მოსამსახურე მოშიმშილეს დაუყოვნებლივ განუმარტავს შიმშილობის დროს მის მიმართ მოპყრობის წესს, მოთავსების პირობებსა და უფლება-მოვალეობებს.
2. მოსამსახურე ვალდებულია, გამოარკვიოს მოშიმშილის მიერ შიმშილობის დაწყების მიზეზი და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს იზოლატორის უფროსს. იზოლატორის უფროსი პასუხისმგებელია, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდოს დეპარტამენტის დირექტორს, პროკურატურას, სახალხო დამცველს, შესაბამის ორგანოს ან/და ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც აისახება შიმშილობის გამოცხადების შესახებ ოქმში. უცხოელი მოშიმშილის შემთხვევაში დეპარტამენტი ვალდებულია, შიმშილობის დაწყების შესახებ აცნობოს ასევე დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას.
3. თუ მოშიმშილის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება შედის იზოლატორის უფროსის კომპეტენციაში, მან დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს მოშიმშილის კანონიერი მოთხოვნა, რის თაობაზეც იგი აცნობებს მოშიმშილეს, ექიმს, დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, პროკურატურასა და სახალხო დამცველს, ხოლო თუ მოშიმშილე უცხოელია – ასევე დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას.
4. თუ მოშიმშილის მოთხოვნების დაკმაყოფილება სცილდება იზოლატორის უფროსის კომპეტენციას, მოსამსახურე გატარებული ღონისძიებების თაობაზე აცნობებს მოშიმშილეს და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.
5. შიმშილობის დაწყების შემთხვევაში ინფორმაცია მოშიმშილის ოჯახის წევრს ან კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება მოშიმშილის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ხოლო თუ მოშიმშილე არასრულწლოვანია – მისი თანხმობის გარეშე. თუ შიმშილობის შედეგად მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა,

რაც დასტურდება ექიმის დასკვნით, მოსამსახურე ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოშიმშილის ოჯახის წევრს ან კანონიერ წარმომადგენელს.
6. მოშიმშილის მიერ შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში იზოლატორის მოსამსახურე ვალდებულია, ამის თაობაზე აცნობოს იზოლატორის უფროსს. იზოლატორის უფროსი პასუხისმგებელია, აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდოს ყველა იმ ორგანოსა და პირს, ვინც ინფორმირებული იყო შიმშილობის დაწყების შესახებ.
7. მოშიმშილის მიმართ მოსამსახურის მხრიდან არასათანადო მოპყრობის, ასევე ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, მოსამსახურე დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ორგანოებს.

მუხლი 5. მოშიმშილის მიმართ მოპყრობის წესი და მისი მოთავსების პირობები
1. მოშიმშილის იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია. შიმშილობის დროს სამედიცინო დახმარების გაწევა, მათ შორის ხელოვნური კვება, დასაშვებია მხოლოდ მოშიმშილის ინფორმირებული თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო დახმარების განხორციელების გარეშე გარდაუვალია მოშიმშილის სიკვდილი, რის თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს დადასტურებული მინიმუმ ერთი სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ მაინც.
2. შიმშილობის დაწყებისას და შემდგომში ყოველდღიურად, ექიმი მოშიმშილეს განუმარტავს იმ საფრთხეებსა და რისკებს, რაც შეიძლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას მიაყენოს შიმშილობამ და განსაკუთრებით ხანგრძლივმა შიმშილობამ. ექიმი ადგენს შესაბამის ოქმს ან აკეთებს მოშიმშილის ხელმოწერით დადასტურებულ ჩანაწერს, რათა დარწმუნდეს, რომ მოშიმშილემ გაათვითცნობიერა მიღებული ინფორმაცია.
3. მოშიმშილის სამედიცინო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით ექიმი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს იზოლატორის უფროსს.
4. შიმშილობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 საათისა მოშიმშილეს უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი სამედიცინო შემოწმება, ამასთანავე, ექიმი აფასებს მოშიმშილის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომლის მიზანია განსაზღვროს, აქვს თუ არა მოშიმშილეს ფსიქიკური აშლილობის ისეთი ნიშნები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარზე. ასეთი ფსიქიკური აშლილობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში იზოლატორის ხელმძღვანელობა შესაძლო უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს ექიმ-ფსიქიატრის მიერ მოშიმშილის შემოწმებას.
5. ექიმ-ფსიქიატრის მიერ მოშიმშილის ფსიქიკური აშლილობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იგი არ განიხილება მოშიმშილედ და მის მიმართ ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.
6. შიმშილობის დაწყებიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში მოშიმშილე ექვემდებარება ექიმ-ფსიქიატრის გეგმურ შემოწმებას. აღნიშნული ვადის განმავლობაში, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაკავებულ პირს, რომელიც შიმშილობს, სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და მისი დიაგნოსტირება ექიმ-ფსიქიატრის მიერ საპატიო მიზეზით ვერ განხორციელდა იზოლატორში, აღნიშნული ინფორმაცია ბადრაგირებისთანავე მიეწოდება პატიმრობის დაწესებულებას. ყველა სხვა შემთხვევაში იზოლატორის უფროსი, ექიმის დასკვნის საფუძველზე, მოშიმშილის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით უზრუნველყოფს მის შემოწმებას ექიმ-ფსიქიატრის მიერ, რაც აისახება მოშიმშილის ამბულატორიულ ბარათში და რომლის განმეორებითი ჩატარებაც განხორციელდება მოშიმშილის მდგომარეობიდან გამომდინარე.
7. მოშიმშილე იმყოფება ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და თავისივე თანხმობის შემთხვევაში გადის ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი მოშიმშილის ამბულატორიულ ბარათში.

8. ექიმი ვალდებულია, ყოველდღიურად გაესაუბროს მოშიმშილეს განცალკევებით და დაადგინოს, უნდა თუ არა პატიმარს შიმშილობის გაგრძელება და რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს, როდესაც მას აღარ ექნება გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექიმი აკეთებს სათანადო ჩანაწერს ამბულატორიულ ბარათში.

9. მოშიმშილე სურვილის შემთხვევაში უნდა განთავსდეს განცალკევებით, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმის დასკვნის საფუძველზე, იზოლატორის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება მოთავსდეს იზოლატორის სამედიცინო პუნქტში.

10. მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მოშიმშილის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, რაზედაც არსებობს ექიმის გადაწყვეტილება, იზოლატორის უფროსი ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოთავსებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობება მოშიმშილის ოჯახის წევრს ან კანონიერ წარმომადგენელს. მოშიმშილის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ბადრაგის თანხლებით. ბადრაგირება ხორციელდება მოშიმშილის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს მოთავსების საერთო ვადისა.

11. მოშიმშილეს მიეწოდება საუზმე, სადილი და ვახშამი დადგენილი ნორმების მიხედვით, ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინებით. საკვების ყოველი მიწოდებისას მოშიმშილეს იზოლატორის მოსამსახურის მიერ განემარტება საკვების მიღების აუცილებლობის შესახებ. საკვების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში იზოლატორის მოსამსახურის მიერ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა მოშიმშილე პირისათვის საკვების მიწოდების აღრიცხვის ბარათში (დანართი №2).

მუხლი 6. შიმშილობის შეწყვეტა

1. შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში მოსამსახურე ადგენს შიმშილობის შეწყვეტის შესახებ ოქმს (დანართი №3) მოშიმშილის თანდასწრებით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება ექიმს, იზოლატორის უფროსს და ყველა იმ პირს, ორგანოს ან/და ორგანიზაციას, ვინც ინფორმირებული იყო შიმშილობის დაწყებასთან დაკავშირებით.

2. შიმშილობის ფაქტთან დაკავშირებული მასალები, გარდა მოშიმშილის სამედიცინო ხასიათის დოკუმენტებისა, უნდა დაერთოს პირის პირად საქმეს.

ინსტრუქციის დანართი №1

ოქმი

შიმშილობის გამოცხადების შესახებ

_____ _____

(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი და დრო)

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, №... იზოლატორის მოსამსახურე _____

(სახელი, გვარი)

და ექიმი _____ ვადგენთ აღნიშნულ ოქმს, მასზედ, რომ ამავე იზოლატორის № ____

(სახელი, გვარი)

საკანში მოთავსებულმა პირმა _____ მ/წლის _____

(სახელი, გვარი) (თარიღი, დრო)

დაიწყო შიმშილობა. მოშიმშილეს განემარტა მოშიმშილის მიმართ მოპყრობის წესი და უფლება-მოვალეობები, შიმშილობის გაგრძელების შემთხვევაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესაძლო მძიმე შედეგების დადგომის თაობაზე, მასვე განემარტა, რომ შიმშილობის დაწყება არ ათავისუფლებს მას კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობებისაგან. მოშიმშილესთან გასაუბრების შედეგად გაირკვა შიმშილობის დაწყების მიზეზები, რა დროსაც მოშიმშილემ აღნიშნა:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოშიმშილეს განემარტა, რომ მისი შიმშილობის თაობაზე ეცნობება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს, საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე მისი სურვილით ----------

---

მოშიმშილეს განემარტა, რომ მას უფლება აქვს, გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული ნებისმიერი უკანონო გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პირი _____ აგრძელებს შიმშილობას.

(სახელი, გვარი)

მოშიმშილეს განემარტა, რომ მისი თანხმობის შემდეგ, იზოლატორის მოსამსახურე მისი ოჯახის წევრს ან კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდებს ინფორმაციას მის მიერ შიმშილობის გამოცხადების თაობაზე, რაზეც _____ განაცხადა.
(თანხმობა, უარი)

მოშიმშილეს განემარტა, რომ სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს, შიმშილობის პერიოდის განმავლობაში მოთავსდეს განცალკევებით, რაზეც _____ განაცხადა.
(თანხმობა, უარი)

ოქმი შედგენილია ჩვენ მიერ, ზემოთ ჩამოთვლილი პირების თანდასწრებით, რომლებიც გაეცნენ ოქმს. ოქმი სწორია და ვადასტურებთ ხელმოწერით.

იზოლატორის მოსამსახურე /სახელი, გვარი/

იზოლატორის ექიმი /სახელი, გვარი/

/მოშიმშილე პირის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა/

ინსტრუქციის დანართი №2

მოშიმშილე პირისათვის საკვების მიწოდების აღრიცხვის ბარათი

№	საუზმე				სადილი			ვახშამი		
	თარიღი	საკვები მიეწოდა (დრო)	საკვები ალაგდა (დრო)	საკვები მიაწოდა (ხელმოწერა)	საკვები მიეწოდა (დრო)	საკვები ალაგდა (დრო)	საკვები მიაწოდა ხელმოწერა)	საკვები მიეწოდა (დრო)	საკვები ალაგდა (დრო)	საკვები მიაწოდა (ხელმოწერა)

შენიშვნა: ბარათი თან ერთვის მოშიმშილე პირის პირად საქმეს.

ინსტრუქციის დანართი №3

ოქმი
შიმშილობის შეწყვეტის შესახებ

_____ _____
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი და დრო)

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, იზოლატორის მოსამსახურე _____
(სახელი, გვარი)
და ამავე იზოლატორის № საკანში მოთავსებული მოშიმშილე პირი ----------
(სახელი, გვარი)
ვადგენთ აღნიშნულ ოქმს მასზედ, რომ მ/წლის----------მოშიმშილემ შეწყვიტა მის მიერ
(თარიღი, დრო)
გამოცხადებული შიმშილობა.

იზოლატორის მოსამსახურე /სახელი, გვარი/

/იზოლატორში მოთავსებული პირის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა/